

## საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

### ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

2018 წლის ნოემბერში საქართველოს „საგადასახადო კოდექსში“ მნიშვნელოვანი და საინტერესო ცვლილებები არ შესულა.

### სხვა საკანონმდებლო ცვლილებები

#### საპენსიო რეფორმის ცვლილება

საქართველოს პარლამენტში წარდგენილია ცვლილებების პროექტი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში რომელიც ძალაში შედის რომელიც 2019 წლის იანვრიდან. პროექტის დამტკიცების შემთხვევაში შეიცვლება კანონის სახელი და ეწოდება საქართველოს კანონი „თაობათა სოლიდარობის და დაგროვებითი პენსიის შესახებ.“ კანონპროექტში შემოღებულია ახალი ცნება - თაობათა სოლიდარობის სისტემა. თაობათა სოლიდარობის სქემაში გაწევრიანება სავალდებულოა ყველა დასაქმებულისათვის ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში.

პროექტის თანახმად, თითოეული დასაქმებული ხდება დაგროვებითი პენსიის სქემის მონაწილე

კანონის ამოქმედების შემდეგ პირველი ხელფასის მიღებისთანავე თუ მისი საპენსიო ასაკის დადგომამდე დარჩენილია არანაკლებ 12 თვე. დასაქმებულს უფლება არ აქვს უარი თქვას დაგროვებითი პენსიისა და თაობათა სოლიდარობის სქემაში მონაწილეობაზე (კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციის თანახმად, 40 წელს ზემოთ ასაკის დასაქმებულებს გააჩნიათ სქემაში მონაწილეობაზე უარის თქმის უფლება). თითოეული თვითდასაქმებული თაობათა სოლიდარობის სქემაში გაწევრიანდება ნებაყოფლობით.

პროექტში ასევე გათვალისწინებულია განსხვავებული წესები მავნე და საშიშპირობებიან სამსახურში დასაქმებულთათვის, კერძოდ - საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებში დასაქმებულ პირს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით გათვალისწინებული პენსიის, საპენსიო სარგებელისა და დაგროვებითი პენსიის მიღების უფლება საპენსიო ასაკის მიღწევამდე ხუთი (5) წლით ადრე წარმოეშობათ. ასეთ დასაქმებულ პირზე თითოეული დამსაქმებელი ხელფასის გაცემისას ამავე პირის სასარგებლოდ საპენსიო ფონდში დასაქმებულის თაობათა სოლიდარობის საპენსიო ანგარიშზე გადარიცხავს დასაქმებულზე გასაცემი



ხელფასის ორ მთელ ხუთ (2.5) პროცენტს (ნაცვლად 2 პროცენტისა).

## **მნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა**

საქართველოს საკასაციო სასამართლომ საინტერესო გადაწყვეტილება გამოიტანა გირავნობის ხელშეკრულების ბათილობასთან და წარმომადგენლობით უფლებამოსილებასთან დაკავშირებით.

მოსარჩელის მოთხოვნა იყო ბანკთან დადებული გირავნობის ხელშეკრულების ბათილობა.

მოსარჩელეს წარმოადგენდა საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის დამფუძნებელია გერმანიის მოქალაქე, რომელმაც კომპანია დაარეგისტრირა წარმომადგენლის მეშვეობით (შემდგომში „კომპანია“). დამფუძნებლის მინდობილი პირი ასევე დაინიშნა კომპანიის დირექტორად.

მოპასუხეს წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთი კომერციული ბანკი.

კომპანიის დამფუძნებელმა კომპანიის ანგარიშზე 2013 წლის ივნისსა და ივლისში ჯერ ჩარიცხა 5 558 925 ევრო, ხოლო შემდეგ - 1 441 075 ევრო. კომპანიის დირექტორმა აღნიშნული თანხების ნაწილით ჯერ თიბისი ბანკში გახსნა ვადიანი ანაბარი, ხოლო შემდეგ აღნიშნული ანაბრის ხელშეკრულება გააუქმა და ვადიანი ანაბრის ხელშეკრულებები დადო მოპასუხე ბანკთან.

2013 წლის ივნისში საქართველოში დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში „შპს“), რომლის ერთ-ერთ პარტნიორს (33% წილის მესაკუთრეს) წარმოადგენდა ზემოხსენებული კომპანიის დირექტორის მეუღლე.

„კომპანიის“ დირექტორმა გამოიყენა მისთვის მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება და ცვლილება შეიტანა „კომპანიის“ წესდებაში, რითაც საკუთარ თავის მიანიჭა გირავნობის ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება.

„კომპანიის“ დირექტორმა „კომპანიის“ ანაბრებით (ჯამში 7 000 000 ევროს ოდენობით) მოახდინა „შპს“-ს საკრედიტო ვალდებულებების უზრუნველყოფა მოპასუხე ბანკში „კომპანიის“ პარტნიორის შეუტყობინებლად.

„კომპანია“ დავობს სწორედ აღნიშნული გირავნობის ხელშეკრულებების ბათილობაზე იმ მოტივით, რომ დირექტორს არ გააჩნდა მსგავსი ხელშეკრულებების დადების უფლებამოსილება და ხელშეკრულებაში იყო სხვა ხარვეზებიც.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა, მეორე ინსტანციამაც ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და გაიზიარა მოსაზრება, რომ მინდობილობით, „კომპანიის“ ყოფილ დირექტორს, პარტნიორისგან ენიჭებოდა მხოლოდ კომპანიის დაფუძნების, სადამფუძნებლო დოკუმენტაციაზე ხელმოწერისა და სხვა ზოგადი უფლებამოსილებები, დამატებითი მინდობილობის გაფორმებისა და

პარტნიორთან/დამფუძნებელთან წინასწარი თანხმობის გარეშე „კომპანიის“ წესდებაში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება დირექტორს არ გააჩნდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ოთხი ერთმანეთის მიყოლებით დადებული დეპოზიტის გირავნობის ხელშეკრულება, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მესამე პირის (ბანკის ძირითადი მოვალის) მიერ ვალდებულების შესრულებას, წარმოადგენდნენ „უჩვეულო“ და „კომპანიისათვის“ ზიანის მომტან გარიგებებს, რადგანაც „შპს“-ს მიერ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა, ავტომატურად გამოიწვევდა „კომპანიისათვის“ ამ თანხის დაკარგვას და მისთვის ქონებრივი ზიანის მიყენებას, რაც იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლეოდა, რომ „კომპანიის“ ყოფილი დირექტორი გარიგებების დადებისას არ მოქმედებდა „კომპანიის“ ინტერესებში და ადგილი ჰქონდა მისი მხრიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას.

ამასთან, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ დამატებით კვლევას საჭიროებს ამ ფაქტისადმი ხელშეკრულებების მონაწილის (მოპასუხის) სუბიექტური დამოკიდებულების საკითხი. იმ პირობებში, როდესაც ცალსახა იყო დადებული გარიგებების უჩვეულობა და მისი დამაზიანებელი ხასიათი, ჰქონდა ან უნდა ჰქონოდა თუ არა გაცნობიერებული ბანკს ყოფილი დირექტორის არამართლზომიერი ქცევის ხასიათი? რამდენად კეთილსინდისიერად და მართლზომიერად მოქმედებდა ის მესამე პირზე კრედიტის გაცემისას? რამდენად იყო მის მიერ საკრედიტო

რისკები გათვალისწინებული, იყო თუ არა კრედიტუნარიანი კრედიტის ამღები და არსებობდა თუ არა კრედიტის გაცემის წინაპირობები (კრედიტი - დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულებაა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 1, „თ“ ქ/პუნქტი). თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ კრედიტის ამღებს იმ დროსათვის არ გააჩნდა საკმარისი შემოსავლები, მაშინ, ცხადია, რომ ბანკი მხოლოდ გირავნობის საგნის იმედად რჩებოდა, შესაბამისად, მას გაცნობიერებული უნდა ჰქონოდა, როგორც ყოფილი დირექტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება, ასევე ისიც, რომ მისი (ბანკის) მოქმედება კეთილსინდისიერების სტანდარტს ვერ დააკმაყოფილებდა.

ამრიგად, საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დამატებითი კვლევისთვის საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა მეორე ინსტანციის სასამართლოში.

აღნიშნული გადაწყვეტილების მოძიება შესაძლებელია უზენაესი სასამართლოს ვებ. გვერდზე საქმის ნომრით - ას-1219-1139-2017.

წინამდებარე წერილი შეიცავს ინფორმაციას საგადასახადო და საკანონმდებლო, ასევე, სასამართლო პრაქტიკის სიახლეების შესახებ. ჩვენ გამოვიყენეთ ყველა ძალისხმევა, რათა მოგვეწოდებინა სრული და ზუსტი ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, **ბეიკერ ტილი ჯორჯია** არ იძლევა გარანტიას, რომ მოცემულ წერილში არ იქნება უზუსტობები. წინამდებარე მასალა არ არის გათვლილი და არ უნდა იქნას მიღებული როგორც სამართლებრივი ან საგადასახადო რჩევა. ნებისმიერი შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს პროფესიონალებს.

### **საკონტაქტო ინფორმაცია:**

ბეიკერ ტილი ჯორჯია, 7, ზამზის რიგის ქუჩა  
(მანთაშევის რიგები) 0105, თბილისი.

(+ 995 32) 2438 999

[office@bakertillygeorgia.ge](mailto:office@bakertillygeorgia.ge)

[www.bakertillygeorgia.ge](http://www.bakertillygeorgia.ge)

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არის Baker Tilly International -ის დამოუკიდებელი წევრი. Baker Tilly International Limited-ი ინგლისური კომპანიაა. Baker Tilly International-ი არ უწევს პროფესიულ მომსახურებას კომპანიებს. ქსელის ყველა წევრი ფირმა არის დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული. შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არ არის Baker Tilly International -ის აგენტი და მას არ აქვს უფლებამოსილება დააკავშიროს რამე თავის ქმედებასთან Baker Tilly International-ი ან იმოქმედოს Baker Tilly International -ის სახელით. არც Baker Tilly International-ი, არც შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია და არც Baker Tilly International-ის ქსელის რომელიმე სხვა წევრი არის რამე სახით პასუხისმგებელი ერთმანეთის ქმედებებზე ან შეცდომებზე. Baker Tilly-ის სახელი და მასთან ასოცირებული ლოგო გამოიყენება Baker Tilly International Limited-ის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.